

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის ვიზიტი შვედეთში

2009 წლის 15-18 სექტემბერს შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მიპატიჟებით საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია შვედეთის სამეფოს ეწვია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი. დელეგაციაში იყვნენ თავმჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძე, სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ალასანია, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჯერენაშვილი და თავმჯდომარის თანაშემწე ირენა მელუა.

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. საქმიანი შეხვედრები შედგა შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისში.

შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისში შეხვედრებისას ისაუბრეს შვედეთის ეროვნული აუდიტის ოფისის განსაკუთრებულ როლზე შვედეთის ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო, ასევე, ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებაში. დელეგაციის წევრები გაეცნენ შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტების ჩატარების მეთოდოლოგიასა და იმპლემენტაციის პროცედურებს.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილმა და შვედეთის ეროვნული აუდიტის ოფისის გენერალურმა დირექტორმა კლას ნორგნერმა ხელი მოაწერეს საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნული აუდიტის ოფისს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმს.